ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1367282

ნომერი: AR1230264

თარიღი : 19.06.2014

გაცემის თარიღი : 03.07.2014

გაცნობის თარიღი : 03.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იმერეთი , N 71 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნონა მამფორია პ/ნ 01007001802
- თბილისი იმერეთის ქ. N 75

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი AR1230264 განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, იმერეთის ქუჩა #71 (თქვენს მიერ მონიშნულ ტერეიტორიაზე) “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის”
2013 წლის 26 დეკემბრის #51 სხდომის და თბილისის მერის 2013 წლის 31 დეკემბრის #2999 განკარგულების

საფუძველზე, სამახურის 2014 წლის 22 იანვრის #1062047 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის ქალაქმშენებლობითი პარამეტრები
განისაზღვრა კ1=0,6-ით და კ2=3,0-ით.

2014 წლის 17 იანვრის #1064282 გადაწყვეტილებით, სამსახურის მიერ აღნიშნულ მისამართზე, დადგენილია სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

სამსახურის 2014 წლის 05 მაისის #1254453 ბრძანებით ზემოხსენებულ მისამართზე, მოქ. ზინა ზეთურიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და 2014 წლის 16 მაისის
#1260137 ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე,
ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ # AR1186408; # AR1187749; # AR1211322;
AR1217622; განაცხადის ნომერი.

თუ სამსახურის მიერ გამოცემული აღნიშნული აქტები გაყენებთ ზიანს შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში.

თუ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
